

ILF CONSULTING ENGINEERS AUSTRIA GMBH-ის
ფილიალი (წარმომადგენლობა) საქართველოში

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან
ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	7
4. შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან.....	8
5. სხვა საოპერაციო შემოსავალი	8
6. შესყიდული მომსახურებები	8
7. მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	8
8. სხვა საოპერაციო ხარჯები	9
9. საპროცენტო შემოსავალი	9
10. ძირითადი საშუალებები	9
11. შეზღუდული ფული	9
12. წინასწარ გადახდილი გადასახადები	10
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	10
14. ფული და ფულის ეკვივალენტები	10
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10
16. ანარიცხები	11
17. პირობითი ვალდებულებები	11
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	12
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	12
20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	13

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	4	1,762,952	4,328,191
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5	338,692	788,520
ანარიცხების აღდგენა (ხარჯი)	16	145,917	(388,907)
შესყიდული მომსახურებები	6	(679,367)	(3,760,818)
თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულ მომუშავეთა ანაზღაურება		(87,849)	(1,415,167)
მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	7	(100,100)	(118,349)
საიჯარო ხარჯები		(74,751)	(67,617)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(317,896)	(353,211)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		987,598	(987,358)
საპროცენტო შემოსავალი	9	44,341	93,428
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება, ნეტი		92,865	75,428
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		1,124,804	(818,502)

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021 წლის 16 აპრილს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



კრისტიან ნუნნერი

	შენიშვნა	2020	2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	66,492	114,373
შეზღუდული ფული	11	21,783	17,377
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	-	53,346
		88,275	185,096
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		2,191	2,015
წინასწარ გადახდილი გადასახადები	12	559,874	120,332
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	4,155,876	3,748,204
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	3,622,529	2,509,350
		8,340,470	6,379,901
სულ აქტივები		8,428,745	6,564,997
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		3,061,007	1,936,203
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	-	26,590
ანარიცხები	16	-	26,530
		-	53,120
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	5,330,548	4,087,926
ანარიცხები	16	37,190	487,748
		5,367,738	4,575,674
სულ ვალდებულებები		5,367,738	4,628,794
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,428,745	6,564,997

	გაუნაწილებელი მოგება
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისთვის	2,754,705
მთლიანი სრული ზარალი	(818,502)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	1,936,203
მთლიანი სრული შემოსავალი	1,124,804
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,061,007

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/ (ზარალი) დაბეგვრამდე		1,124,804	(818,502)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		37,846	39,654
ზარალი ძირითადი საშუალების გაყიდვიდან		4,400	5,142
საპროცენტო შემოსავალი		(44,341)	(93,428)
ფინანსური აქტივების გაუფასურება	13	61,096	-
საკუროს სხვაობით გამოწვეული მოგება		(92,865)	(75,428)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე		1,090,940	(942,562)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/ (ზრდა)		442,849	(2,065,848)
წინასწარ გადახდილი გადასახადების ზრდა		(439,542)	(120,332)
მარაგების ზრდა		(176)	(27)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		121,809	2,453,398
საგადასახადო ვალდებულებების შემცირება		-	(331,528)
ანარიცხების (შემცირება)/ზრდა		(484,756)	514,278
მიღებული ავანსების შემცირება		-	(1,471,469)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული (გასული) ფულადი სახსრები		731,124	(1,964,090)
მიღებული პროცენტები		44,341	132,746
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული (გასული) წმინდა ფულადი სახსრები		775,465	(1,831,344)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		-	(40,123)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		5,635	5,915
გაცემული სესხიდან მიღებული თანხები		-	400,000
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		5,635	365,792
ფინანსური საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		-	-
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)		781,100	(1,465,552)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის		2,526,727	3,939,757
ფულისა და ფულის ეკვივალენტების გადაფასების ეფექტი		336,485	52,522
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის		3,644,312	2,526,727

1. ზოგადი ინფორმაცია

ILF Consulting Engineers Austria GmbH-ის ფილიალი (წარმომადგენლობა) საქართველოში (შემდეგში - კომპანია), დაარსდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია: თამარ მეფის გამზირი #15, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს წყლისა და გარემოს სფეროში პროფესიონალური საკონსულტაციო, საინჟინრო, ინფრასტრუქტურული და საპროექტო მომსახურების გაწევა.

კომპანიის დირექტორია კრისტიან ნუნერი.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის ფუნქციური ვალუტა. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

მომზადების საფუძველების შესაბამისობის განსაზღვრისას კომპანიის მენეჯმენტმა გაითვალისწინა კოვიდ-19 ის პანდემიის გავლენა კომპანიის მდგომარეობაზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის ოპერაციებზე მომავალში. მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ კოვიდ-19-ით გამოწვეული საფრთხე პანდემიად გამოაცხადა 2020 წლის მარტში. ვირუსის გავრცელება და სახელმწიფოების რეაგირება, რომელიც მიმართულია პანდემიურ სიტუაციასთან გამკლავებისკენ, გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ეკონომიკასა და ბიზნეს-ოპერაციების განხორციელებაზე. პანდემიის გავლენა განსხვავდება სხვადასხვა ინდუსტრიების მიხედვით. პანდემიის მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობაზე მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა გავლენა ოპერაციებზე, ფულად ნაკადებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. კომპანია საანგარიშგებო წელს გავიდა მოგებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტსა და აქციონერებს განზრახული აქვთ კომპანიის ბიზნესის შემდგომი განვითარება საქართველოში. შედეგად, მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად და კომპანია აპირებს გააგრძელოს საქმიანობა პროგნოზირებად მომავალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება განსჯის შედეგად მსგავსი აქტივების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებელი გამოიყენება მოხმარების დროს. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება და ცვლილება, ხშირად იწვევს აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. მენეჯმენტი ნარჩენ მომსახურების ვადას განსაზღვრავს

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით და აფასებს რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია კომპანიას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. ამ შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე; და გ) ტექნიკური ან კომერციული დაბველება, რომელიც გამომდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებებისაგან.

ანარიცხები. კომპანია აღიარებს საგარანტიო ანარიცხს იმ მომენტში, როდესაც აღიარებს მასთან დაკავშირებულ ამონაგებს (როდესაც დასრულებულია მომსახურება). კომპანია საგარანტიო ანარიცხს აღიარებს წარსული გამოცდილების და იმ საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომელიც აუცილებელი იქნება, რომ შესრულდეს სამომავლო და მიმდინარე ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვება მომხმარებლების საგარანტიო მოთხოვნების შედეგად ფინანსური ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის.

კომპანია ასევე აღიარებს ანარიცხს დარიცხული ანაზღაურების სახით დირექტორის ბონუსზე, რომელიც გამოითვლება ჯგუფის მენეჯმენტის მიერ შემუშავებული სქემის მიხედვით, რომელიც არეგულირებს უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურების საკითხებს კომპანიის ფინანსური შედეგებისა და სხვა ისეთი ფაქტორების მიხედვით, რომლებიც კომპანიის კონტროლს არ ექვემდებარება. ანარიცხის თანხის შეფასება ხდება მშობელ კომპანიასთან კომუნიკაციის შედეგად.

შეფასების პროცესში თანდაყოლილი განუსაზღვრელობების გამო, ფაქტობრივი ხარჯები შესაძლოა განსხვავებული იყოს თავდაპირველი საგარანტიო შეფასებისგან. ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის აღიარდება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით და მისი მიზანია დააკომპენსიროს საგარანტიო ხარჯები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების რეზერვის დარიცხვა ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (როგორიცაა კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმძნელები, დეფოლტი, გადახდის პირობების მნიშვნელოვანი დარღვევა), რომ კომპანია ვერ მიიღებს თანხას მთლიანი მოცულობით, ხოლო რეზერვის თანხა წარმოადგენს წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაუფასურებული მოთხოვნის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. როდესაც დადსტურდება, რომ კომპანია ვერ მიიღებს მოთხოვნებში არსებულ თანხებს მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამის რეზერვთან.

4. შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

	2020	2019
სატრანსპორტო სექტორი	588,834	2,939,232
ენერგო სექტორი	96,115	979,856
საკომისიო	1,078,003	409,103
	1,762,952	4,328,191

5. სხვა საოპერაციო შემოსავალი

2020 წლისთვის სხვა საოპერაციო შემოსავალი წარმოადგენს გადახდებს, რომელიც მიღებულია ყოფილი დირექტორისგან. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია გაშიფრული იყო წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც პირობითი აქტივი და დაკავშირებული იყო საგადასახადო ვალდებულებასთან. 2019 წლისთვის სხვა საოპერაციო შემოსავალი ძირითადად შედგება შპს აი.ელ.ეფ ქონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯიასთვის გაწეული მმართველობითი მომსახურებისგან.

6. შესყიდული მომსახურებები

	2020	2019
დაკავშირებული მხარე	(564,411)	(2,856,483)
სხვა	(114,956)	(904,335)
	(679,367)	(3,760,818)

7. მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები

მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებულია ILF Group Holding Austria GmbH-სა და აიელეფის სხვა კომპანიებისგან გაწეული მომსახურებისგან, როგორიცაა მარკეტინგი და კომუნიკაცია, დავებისა და რისკების მართვა, კომერციული კოორდინაცია, ტექნიკური ექსპერტიზა, ადამიანური რესურსები და სხვა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2020	2019
პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურება	(62,491)	(104,566)
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(61,096)	-
დაზღვევა	(56,613)	(45,860)
ცვეთა და ამორტიზაცია	(37,846)	(39,654)
ზარალი ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	(4,400)	(14,928)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(3,931)	(5,399)
საწვავი	(803)	(3,753)
მივლინება	-	(74,499)
სხვა	(90,716)	(64,552)
	(317,896)	(353,211)

9. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი მიღებული:

	2020	2019
დეპოზიტებიდან	44,341	59,476
გაცემული სესხიდან	-	33,952
	44,341	93,428

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	მანქანა - დანადგარები	ავტომობილები	სხვა	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	92,733	139,679	-	9,106	241,518
შემოსვლა	-	-	40,123	-	40,123
გასვლა	-	-	(13,381)	-	(13,381)
2019 წლის 31 დეკემბერი	92,733	139,679	26,742	9,106	268,260
გასვლა	-	-	(13,381)	-	(13,381)
2020 წლის 31 დეკემბერი	92,733	139,679	13,361	9,106	254,879
დაგროვილი ცვეთა					
2018 წლის 31 დეკემბერი	(42,774)	(68,194)	-	(5,589)	(116,557)
ცვეთა	(13,248)	(19,954)	(5,218)	(1,234)	(39,654)
გასვლა	-	-	2,324	-	2,324
2019 წლის 31 დეკემბერი	(56,022)	(88,148)	(2,894)	(6,823)	(153,887)
ცვეთა	(12,552)	(20,772)	(3,341)	(1,181)	(37,846)
გასვლა	-	-	3,346	-	3,346
2020 წლის 31 დეკემბერი	(68,574)	(108,920)	(2,889)	(8,004)	(188,387)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 31 დეკემბერი	36,711	51,531	23,848	2,283	114,373
2020 წლის 31 დეკემბერი	24,159	30,759	10,472	1,102	66,492

11. შეზღუდული ფული

გრძელვადიანი შეზღუდული ფული წარმოადგენს 2023 წლის 31 ივლისამდე კლიენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საბანკო ანგარიშზე დაბლოკილ თანხებს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

12. წინასწარ გადახდილი გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი საბაზისო კოდით, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის. შედეგად, 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს წარადგენს ნეტო საფუძველზე როგორც აქტივს, შესაბამისად 559,874 და 120,332 ლარის ღირებულებით.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები მისაღები:		
დაკავშირებული მხარისგან	-	53,346
მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები მისაღები:		
დაკავშირებული მხარისგან	2,044,658	1,760,845
სხვა	2,243,436	2,053,399
საექვო მოთხოვნების ანარიცხი	(137,409)	(76,313)
	4,150,685	3,737,931
არაფინანსური აქტივები		
წინასწარ გადახდილი სადაზღვევო ხარჯი	4,222	3,892
ქვეკონტრაქტორისთვის გადახდილი ავანსები	969	6,381
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,155,876	3,748,204

ცვლილებები გაუფასურების რეზერვში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ნაშთი 1 იანვრისთვის	(76,313)	(76,313)
ანარიცხის ზრდა	(61,096)	-
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	(137,409)	(76,313)

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2020	2019
ფული ბანკში	3,619,483	2,456,239
ფული სალაროში	3,046	3,315
შეზღუდული ფული*	-	49,796
	3,622,529	2,509,350

*შეზღუდული ფული წარმოადგენს სახელმწიფო კომპანიებიდან/სააგენტოებიდან, საკონსულტაციო მომსახურების გაწევისთვის, მიღებული ავანსის გარანტიას.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020	2019
გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებები:		
დაკავშირებულ მხარესთან	-	26,590
მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულებები:		
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარესთან	4,919,920	3,355,750
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	310,528	692,591
სხვა ვალდებულებები დაკავშირებულ მხარესთან	100,100	39,585
	5,330,548	4,087,926

16. ანარიცხები

	2020	2019
მოკლევადიანი		
დარიცხული ანაზღაურება*	37,190	125,371
სხვა ანარიცხი**	-	362,377
	37,190	487,748
გრძელვადიანი		
გარანტია კლიენტების მიმართ	-	26,530
სულ ანარიცხები	37,190	514,278

*დარიცხული ანაზღაურება წარმოადგენს დირექტორის ბონუსის სავარაუდო მოცულობას, რომელიც გამოითვლება ILF Group Holding-ის შედეგების და სხვა ისეთი ფაქტორების მიხედვით, რომლებიც კომპანიის კონტროლს არ ექვემდებარება. თავდაპირველი თანხა შეფასებული იყო მშობელ კომპანიასთან კომუნიკაციის შედეგად. 2020 წლის განმავლობაში კოვიდ-19-ის მიერ გამოწვეული პანდემიის გამო კომპანიამ გადაწყვიტა არ გაეცა ბონუსი აღნიშნული ღირებულებით და გადაიანგარიშა თანხა. ბონუსის გადახდა მოხდა 2021 წლის იანვარში.

**2020 წელს ხელმძღვანელობამ განიხილა საგადასახადო პოლიტიკა, რომელსაც ის 2017-2019 წლებში კომპანიის ოპერაციებისთვის იყენებდა და მიიჩნევს, რომ საგადასახადო ორგანოების მიდგომა შესაძლოა განსხვავებული იყოს აღნიშნული პოლიტიკისგან. ამრიგად, კომპანიამ შეაფასა რისკები და გადაწყვიტა 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ელიარებინა ანარიცხი საგადასახადო ვალდებულებაზე. 2020 წელს კომპანიამ დააკორექტირა საგადასახადო დეკლარაციები და გამოიყენა ანარიცხი.

ცვლილებები ანარიცხებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
1 იანვარი	514,278	-
ზრდა	-	514,278
გამოყენება	(338,694)	-
აღდგენა	(145,918)	-
ვალუტის კურსის ცვლილება	7,524	-
31 დეკემბერი	37,190	514,278

17. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის განსაზღვრა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

დივიდენდების განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, დივიდენდების გაცემის შემთხვევაში გადასახადელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 459,161 ლარი.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია ცხილებში

	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის		
	ILF Group Holding Austria GmbH	ILF Consulting Engineers Austria GmbH, Innsbruck	ILF Consulting Engineers LLC
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	2,044,658
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	100,100	399,746	4,520,174
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
შესყიდული მომსახურებები	-	(7,001)	(557,410)
მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	(100,100)	-	-
საიჯარო ხარჯი	-	-	(74,751)
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	-	(76,562)

	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის					
	ILF Group Holding Austria GmbH	ILF Consulting Engineers Austria GmbH, Innsbruck	ILF Beratende Ingenieure (including AG)	ILF Consulting Engineers GmbH Zweigniederlassung Munchen	ILF Consulting Engineers Polska Sp. Z.o.o.	ILF Consulting Engineers LLC
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება						
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-	-	-	1,814,191
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	111,510	1,137,557	500,148	398,117	151	1,274,442
სრული შემოსავლის ანგარიშგება						
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	-	-	-	-	-	375,353
სხვა შემოსავალი	-	-	-	-	-	771,095
შესყიდული მომსახურებები	-	(642,380)	-	-	-	(2,214,103)
თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულ მომუშავეთა ანაზღაურება	-	-	-	(639,524)	-	-
მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	(98,923)	(15,897)	-	-	(3,529)	-
საიჯარო ხარჯი	-	-	-	-	-	(67,617)
საპროცენტო შემოსავალი	-	-	-	-	-	33,952

უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	-	1,299,364

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ ყოფილა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც მოითხოვდა გაშიფვრას ფინანსურ ანგარიშგებაში.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები რომლებიც გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა პერიოდზე, თუ სხვა რამ არაა მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ზანკის გაცვლითი კურსები:

	დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

შემოსავალი მოიცავს კომპანიის ჩვეული საქმიანობისას მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. შემოსავალი გამოხატავს გაყიდვების ნეტ ღირებულებას - დღგ-ს, ფასდათმობისა და უკან დაბრუნების გარეშე.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება; და მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

კომპანია გარიგების ან ხელშეკრულების დასრულების ეტაპს განსაზღვრავს იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც ყველაზე საიმედოდ განსაზღვრავს შესრულებულ სამუშაოს: საანგარიშგებო თარიღისათვის გაწეული ფაქტიური დანახარჯების დაბიუჯეტებულ დანახარჯებთან შეფარდების პროპორციით. გაწეული ხარჯები არ მოიცავს სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორცაა მასალები ან წინასწარი გადახდები.

როდესაც გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის საიმედოდ შეფასება ვერ ხერხდება, შემოსავლები აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობის ანაზღაურებადი ხარჯებიცაა გაწეული საანგარიშგებო თარიღისათვის.

კომპანია წარმოადგენს მარწმუნებელს მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში და ამონაგებს აღიარებს მთლიანი ანაზღაურებით, გარდა რწმუნებულის ოპერაციებისა, როდესაც იგი უზრუნველყოფს სერვისების მიწოდებას მესამე მხარის საშუალებით. ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რეალიზაციები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზეა წარდგენილი.

საპროცენტო შემოსავალი

გაცემული სესხის პროცენტი აღიარებულია მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. იგი ასევე მოიცავს შემოსულობას საბანკო ანგარიშებზე განთავსებული დეპოზიტებიდან.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისა და დაქირავებით მომუშავეთაგან.

20. მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საოპერაციო იჯარა

როდესაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს ისეთ საიჯარო ხელშეკრულებებში, რომლის დროსაც კომპანიას არ გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველანაირი რისკი და სარგებელი, იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში იჯარის მთლიან ვადაზე, დარიცხვის წრფივი მეთოდით. საიჯარო ვადა წარმოადგენს იმ არაგაუქმებად (შეუქცევად) პერიოდს რომლისთვისაც გაფორმებულია ხელშეკრულება იმ პერიოდთან ერთად რომლისთვისაც მოიჯარეს აქვს უფლება გააგრძელოს აქტივის იჯარა დამატებითი გადასახდელებით ან მათ გარეშე იმ შემთხვევაში, რომ ხელშეკრულების დადებისას მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გამოიყენებს აღნიშნულ უფლებას. კომპანიას არ აქვს შეუქცევადი იჯარები.

დაბეგრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს რომლებიც არ იბეგრება, ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებასთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რაც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა. შესაბამისი ვალდებულება აღიარებულია ანარიცხებში.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა აღნიშნული ხარჯის გაწევა.

აქტივის ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ მაშინ, როდესაც ის იმყოფება იმ ადგილას და ისეთ პირობებში, რომელიც აუცილებელია მისი გამოყენებისთვის იმ სახით, როგორც მენეჯმენტს

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჰქონდა განზრახული. ცვეთა არ წყდება აქტივის მწყობრიდან გამოსვლის ან არ გამოყენების შემთხვევაში, მანამ, სანამ იგი სრულად არ იქნება ამორტიზებული.

ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	7
მანქანა-დანადგარები	7
ავტომობილები	7
სხვა	7

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველ საანგარიშგებო პერიოდში, რათა შეფასდეს საბალანსო ღირებულება აღემატება თუ არა შესაბამისი აქტივის აღდგენით ღირებულებას. აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და ჩაირთვება საოპერაციო ხარჯებში.

მარაგები

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. სავაჭრო მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვის შექმნის საჭიროება წარმოიშობა მაშინ როდესაც ობიექტური მკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ამ თანხების სრულად მიღებას თავდაპირველი გადახდის პიოზების მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხის აღიარება ხდება, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად; მოსალოდნელია, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის ოდენობას წარმოადგენს იმ თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად. დისკონტირების განაკვეთი განისაზღვრება დაბეგრამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და ვალდებულებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რისკებს. ანარიცხის ზრდა დროის პერიოდის გასვლის გამო აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ანარიცხის აღიარება არ ხდება სამომავლო საოპერაციო ზარალებისთვის.

პირობითი ვალდებულება არის შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება, ან მიმდინარე ვალდებულება, რომელიც არ აღიარდა იმიტომ რომ ვერ აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემული მოთხოვნებიდან ერთ-ერთს, ან ორივეს:

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არმოხდენა), რომ ვალდებულებები დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და
- შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში. ინფორმაცია პირობითი აქტივებისა და ვალდებულების შესახებ გაშიფრულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

დაკავშირებული მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი შინაარსი.